პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 3 (3742)

1969 წ. 5 იანვარი, კვირა. ფასი 2 კაპ.

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გამოდის 25-ე წელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრ კავშირის ჩემპიონატი კალათბურთში

8 ტურის შემდეგ

კალათბურთელ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატი შევიდა ფაზაში, როცა შეუძლებელია დაიცვა ტურთა სინქრონულობა. ზოგი გუნდი უცხოეთში იმყოფებოდა. ისინი, ბუნებრივია, კალენდრის მიმართ ვალში არიან დარჩენილი. ზოგი კოლექტივი კი პირიქით, მოვლენებს წინ უსწრებს და ასე ვთქვათ ვადამდე აპირებს ჩემპიონატის დასრულებას.

ყოველივე ზემოთქმულის გამო საკმაოდ, გართულდა აღრიცხვიანობა საკალათბურთო სტატისტიკაში. და მაინც, ჩვენ გადავწყვიტეთ გავაგრძელოთ ადრე დაწყებული საქმიანობა. VIII ტური ჩემპიონატის ყველა თორმეტივე მონაწილემ დაამთავრა. ოთხმა კოლექტივმა უკვე IX ტურის მატჩები ჩაატარა, ხოლო ორმა — მეათისაც კი. ამიტომ, ჩვენი სტატისტიკური ანალიზის საფუძველი იქნება განვლილი VIII ტური.

ჩემპიონატის საუკეთესო სნაიპერთა ათეულში მოხდა შესამჩნევი გადაჯგუფება. ჯერ ერთი ათეული დატოვა ალმაათელმა ნიკიშინმა. მისი ადგილი საპატიო სიაში დაისაკუთრა რიგის არმიელმა ფრეიმანისმა. ათეულს სათავეში ჩაუდგა თბილისის „ბურევესტნიკისა“ და სსრ კავშირის ნაკრების წევრი კოვალენკო, რომელმაც 10 მატჩში თავის გუნდს 199 ქულა შესძინა. კოვალენკო ყოველ მატჩში საშუალოდ 20-ქულიანია. პროცენტულად თბილისელზე უკეთესი მაჩვენებელი აქვს კაუნასის „ჟალგირისის“ წევრს პაულაუსკასს. იგი თავის გუნდს ყოველ მატჩში საშუალოდ 22 ქულას აძლევს.

აი, როგორ გამოიყურება ათეული:

1. **კოვალენკო** („ბურევესტნიკი“, თბილისი) 199 ქულა (10 მატჩში)
2. **პაულაუსკასი** („ჟალგირისი“, კაუნასი) 174 (8)
3. **პოლივოდა** („სტროიტელი“, კიევი) 173 (9)
4. **ვეისმანი** („ლოკომოტივი“, ალმა-ათა) 164 (8)
5. **ფრეიმანისი** (ასკ რიგა) 157 (10)
6. **ვალტინი** („სტროიტელი“, კიევი) 149 (9)
7. **იურგენსონი** (ვეფ, რიგა) 147 (8)
8. **მოსეშვილი** („დინამო“, თბილისი) 135 (8)
9. **ბელოვი** (ცსკა) 133 (9)
10. **პოზდნიაკოვი** („ლოკომოტივი“, ალმა-ათა) 132 (8)

იცვალა სახე ცალკეული გუნდების სნაიპერთა სიამაც.

„დინამო“ (თბილისი) 1. მოსეშვილი — 135, 2-3. ა. ლეჟავა, სხირელი — 91-91. გუნდმა ჩაატარა 8 მატჩი, გაიტანა 588 ბურთი.

ასკ (კიევი). 1. ბრიანცევი — 115, 2. ნოვიკოვი — 105, 3. სალუხინი — 100. მატჩი — 9, ბურთი — 576.

ცსკა. 1. ბელოვი — 133, 2. ანდრეევი — 79, 3. ლიპსო — 74. მატჩი — 9, ბურთი — 657.

„სპარტაკი“ (ლენინგრადი). 1. ბიკოვი — 123, 2. ბელოვი — 116, 3. ივანოვი — 98. მატჩი — 8, ბურთი — 572.

„სტროიტელი“ (კიევი). 1. პოლივოდა — 173, 2. ვალტინი — 149, 3. გლადუნი — 66. მატჩი 9, ბურთი — 610.

„კალევი“ (ტარტუ). 1. ტომსონი — 118, 2. კრიკუნი — 109, 3. ლილი — 73. მატჩი — 8, ბურთი — 570.

ვეფ (რიგა). 1. იურგენსონი — 147, 2. კალცენსი — 88, 3. ჟვიგურსი 73. მატჩი — 8, ბურთი — 538.

ასკ (რიგა). 1. ფრეიმანისი — 157, 2. ეგლიტისი — 114, 3. სტრელისი — 100. მატჩი — 10, ბურთი — 675.

„ჟალგირისი“ (კაუნასი). 1. პაულაუსკასი — 174, 2. ვენზბერგასი — 74, 3. გედრაიტისი — 73. მატჩი — 8, ბურთი — 590.

„ბურევესტნიკი“ (თბილისი). 1. კოვალენკო — 199, 2. ლომაძე — 98, 3. ბიჭიაშვილი 87. მატჩი — 10, ბურთი — 649.

„დინამო“ (მოსკოვი). 1. ილიუკი — 117, 2. ბალაშოვი — 109, 3. სოკოლოვი — 100.

„ლოკომოტივი“ (ალმა-ათა). 1. ვეისმანი — 164, 2. პოზდნიაკოვი — 132, ნიკიშინი — 100. მატჩი — 8, ბურთი — 575.

- ს. კოვალენკო — ლიდერი და რეკორდსმენი.
- 22 ქულა ყოველ მატჩში.
- ოლიმპიური ნაკრები არარსებული ნაკრების წინააღმდეგ.

როგორც ალბათ გახსოვთ, ნაკრების მიღმა დარჩენილი სნაიპერებისაგან შევადგინეთ სიმბოლური ნაკრები და მისი შედეგები რეალური ნაკრების შედეგებს დავუპირისპირეთ, აი როგორია ახლა 8 ტურის შემდეგ, ეს სიმბოლიური ნაკრები.

1. **ვეისმანი** („ლოკომოტივი“ ალმა-ათა) — 164 ქულა
2. **ფრეიმანისი** (ასკ, რიგა) — 157
3. **ვალტინი** („სტროიტელი“, კიევი) — 149
4. **იურგენსონი** (ვეფ, რიგა) — 147
5. **მოსეშვილი** („დინამო“, თბილისი) — 135
6. **პოზდნიაკოვი** („ლოკომოტივი“ ალმა-ათა) — 132.
7. **ბიკოვი** („სპარტაკი“ ლენინგრადი) — 123
8. **ილიუკი** („დინამო“, მოსკოვი) — 117,
9. **ბელოვი** („სპარტაკი“, ლენინგრადი) — 116
10. **ბრიანცევი** (ასკ, კიევი) — 115
11. **ეგლიტისი** (ასკ, რიგა) — 114,
12. **ბალაშოვი** („დინამო“, მოსკოვი) — 109.

ერთ მატჩში დაგროვილი ქულების მიხედვით (ასეთ სნაიპერებს, როგორც ადრე ვთქვით, მიკროსნაიპერებსაც უწოდებენ) 6 ტურის შემდეგ წინ იყვნენ: მოსეშვილი („დინამო“, თბილისი), პოლივოდა („სტროიტელი“, კიევი), ბიკოვი („სპარტაკი“, ლენინგრადი) და იურგენსონი (ვეფ, რიგა) — 30-30 ქულა. ისინი ახლაც წინ არიან, მაგრამ მათ შედეგს გადააჭარბა თბილისის „ბურევესტნიკის“ გუნდის წევრმა კოვალენკომ, რომელმაც „ჟალგირისთან“ VII ტურის მატჩში თავის გუნდს 34 ქულა შესძინა.

ახლა კი ვნახოთ რა მდგომარეობაშია სსრ კავშირის ნაკრების სნაიპერთა სია. პირველ რიგში უნდა აღვნიშნოთ, რომ უძლიერესთა ათეულში შესულია ოლიმპიური ნაკრების მხოლოდ 4 წევრი: კოვალენკო, პაულაუსკასი, პოლივოდა და ბელოვი. დანარჩენი „მექსიკელების“ მაჩვენებელი შორს დგას არა თუ უძლიერესთა ათეულისგან, არამედ საკუთარი გუნდების სნაიპერთა სამეულებისგანაც. აი, მაგალითად სელიხოვი. მან 9 მატჩში მხოლოდ 64 ქულა დააგროვა, რაც ყოველ შეხვედრაში საშუალოდ 7 ქულას ნიშნავს. ეს კიდევ არაფერი. სელიხოვი გამთამაშებელია, უკანა ხაზის მოთამაშე. ვოლნოვის მდგომარეობა კი სამართლიან გაკვირვებას იწვევს. ერთ დროს ნაკრების უძლიერესი თავდამსხმელი, ახლა თავის გუნდშიც საკმაოდ სუსტად გამოიყურება. ვოლნოვი ყოველ მატჩში მხოლოდ 8 ქულის ავტორია. ბოლო 2 შეხვედრაში ავადმყოფობის გამო მონაწილეობა არ მიუღია თბილისის „დინამოს“ წარმომადგენელს საკანდელიძეს, ამიტომაც მას დარჩა ძველი შედეგი.

მაშ ასე, გადავხედოთ ნაკრების წევრთა სნაიპერულ მონაცემებს:

1. **კოვალენკო** („ბურევესტნიკი“, თბილისი) — 199 ქულა, 10 მატჩი.
2. **პაულაუსკასი** („ჟალგირისი“, კაუნასი) — 174 (8)
3. **პოლივოდა** (სტროიტელი“, კიევი) — 173 (9)
4. **ბელოვი** (ცსკა) — 133 (9)
5. **ტომსონი** („კალევი“, ტარტუ) — 118 (8)
6. **კრიკუნი** („კალევი“, ტარტუ) — 109 (8)
7. **ანდრეევი** (ცსკა) — 79 (9)
8. **ლიპსო** (ცსკა) — 74 (8)
9. **ვოლნოვი** (ცსკა) — 73 (9)
10. **კაპრანოვი** (ცსკა) — 71 (9)
11. **სელიხოვი** (ცსკა) — 64 (9)
12. **საკანდელიძე** („დინამო“, თბილისი) — 49 (6).

ბ. გუგუშვილი.

◆ **ბრონინგენი,** 4 იანვარი. ევროპის ქვეყნების იუნიორ მოჭადრაკეთა ფინალურ ტურნირს 2 ქულით ლიდერობს კ. მედერი (გფრ). საბჭოთა ოსტატმა რ. ვაგანიანმა ყაიმით დაამთავრა ადრე გადადებული პარტია ბ. ათანასოვთან (ბულგარეთი). ახლა მას აქვს 1,5 ქულა და ერთი დაუმთავრებელი პარტია მედერთან.

◆ **ლონდონი,** 4 იანვარი. საერთაშორისო ოსტატმა რ. ვეიდმა მოჭადრაკეთა საახალწლო ზეიმზე თავისებური „რეკორდი“ დაამყარა. როგორც ფრანს პრესის სააგენტო იუწყება, მან შეუსვენებლად ითამაშა 200 პარტია. 12 დაფაზე სხვადასხვა თანრიგის მოჭადრაკეებთან, რომლებიც ერთმანეთს ცვლიდნენ. ამ „მარათონში“ 47 წლის ინგლისელმა 192 პარტია მოიგო, 3 ყაიმით დაამთავრა და 5 წააგო.

◆ **ბერლინი,** 4 იანვარი. გდრ-ისა და ფინეთის ჰოკეისტებმა ამხანაგური მატჩი გამართეს დრეზდენში. გაიმარჯვეს მასპინძლებმა — გერმანელმა სპორტსმენებმა — 3:2.

სეანსი... მორიგი ტურის დროს

მოჭადრაკეთა საკავშირო ჩემპიონატის მესამე ტურში აზერბაიჯანის ჩემპიონმა ბაგიროვმა თამაშისთვის განკუთვნილ დროს გადააცილა უკრაინის ჩემპიონ სახაროვთან პარტიაში და მას წაგება მიეკუთვნა. დიდოსტატმა ავერბახმა ფიგურა მოუგო ლუტიკოვს, მაგრამ ცაიტნოტში უზუსტოდ თამაშობდა, დაკარგა უპირატესობა და ყაიმს დასჯერდა. ჩერეპკოვი დანებდა დიდოსტატ პოლუგაევსკის. ყაიმზე შეთანხმდნენ გურგენიძე — ოსნოსი, პლატონოვი — პოდგაიცი, ლეინი — ი. ზაიცევი, ხოლმოვი — ა. ზაიცევი და კლოვანი — ლიბერზონი (პირველი ტურის დაუმთავრებელი პარტია).

ცეშკოვსკის ავადმყოფობის გამო მისი პარტია დიდოსტატ ტალთან არ შემდგარა. ამ უკანასკნელმა ტურის მიმდინარეობის დროს ერთდროული თამაშის სეანსი ჩაატარა 21 დაფაზე, რომელთაგან 18 მოიგო, 2 ყაიმით დაამთავრა და მხოლოდ 1 წააგო.

ჩემპიონატი დღეს იღებს სტარტს

დღეს კამენსკ-ურალსკსა და გომელში ალიმართება ფრენბურთელ ქალთა საკავშირო ჩემპიონატის ალამი. ასპარეზობა ახალი ფორმულით ჩატარდება. ჯერ მოასპარეზე 12 გუნდიდან შეირჩევა 8 უძლიერესი. შემდეგ ამ გუნდების შეჯიბრება ჩატარდება ორ წრედ და გაირკვევა კიდეც ჩემპიონის ვინაობა.

საინტერესო იქნება ფრენბურთელთა საერთაშორისო კალენდარიც. მაისის მეორე ნახევარში სსრ კავშირის ნაკრები გაემგზავრება იაპონიაში, შემოდგომაზე ჩვენთან გაიმართება იუნიორთა მეორე ევროპული ჩემპიონატი, ჩვენი გუნდები — თასის ახლანდელი მფლობელი „დინამო“ (მოსკოვი) და ცსკა გამოვლენ ევროპის ჩემპიონთა თასის გათამაშებაში.

„მფრინავი დრაკონის“ რეკორდები

ამ რეკორდის დასამყარებლად დიდხანს და შეუპოვრად ემზადებოდნენ. მას შემდეგ, რაც დასავლეთ გერმანიის „ბაირიშენ მოტორენ ვერკეს“ ქარხნებში საგანგებო ფორმის ნავი ააგეს, გულდასმით დაიწყეს მისთვის ძრავის ძებნა. ბოლოს შეარჩიეს ძრავა, რომლის სიმძლავრე 200 ცხენის ძალა იყო.

შემდეგ მრბოლელის ძებნა დაიწყეს. დიდი ფული დაუჯდათ ცნობილი სპორტსმენის დ. კვესტერის დაქირავება. ამასთან, ფირმის ადმინისტრაცია მას წინასწარ მოელაპარაკა, რომ ერთადერთი პირობა რეკორდის დამყარება უნდა ყოფილიყო.

ნავმა, რომელსაც რეპორტიორებმა „მფრინავი დრაკონი“ უწოდეს, სტარტი აიღო და ისეოს ტბის (ზემო იტალია) ზედაპირზე გასრიალდა. კვესტერმა ნდობა გაამართლა. მან ერთბაშად სამი მსოფლიო რეკორდი დაამყარა.

აი, ეს რეკორდები: კვესტერმა 1 კილომეტრი საათში 136 კმ სისწრაფით გაიარა (ძველი რეკორდი ეკუთვნოდა ფირმა „ალფა რომეოს“ და საათში 105 კმ-ს უდრიდა).

24 მილი სპორტსმენმა დაფარა საათში 115 კმ სისწრაფით (მანამდე რეკორდი — საათში 100 კმ — იმავე „ალფა რომეოს“ ეკუთვნოდა). საათიან რბოლაში გავლილია 115 კმ (ადრე რეკორდი საათში 93 კმ-ს უდრიდა „ფილფოს“ ძრავებით).

სპორტსმენმა რბოლის შემდეგ თქვა: „ეს ძნელი გამოცდა იყო. სულ იმას ვფიქრობდი, ნავი არ გადაბრუნებულიყო“. არ დავმალავ, რომ დისტანციაზე დონალდ კემპბელი მედგა თვალწინ (ლაპარაკია ინგლისელ მრბოლელზე, რომელიც ახალი რეკორდის დამყარების ცდის დროს დაიღუპა).

ფოტო „შტერნ“ — აას-იხა.

საპასუხო მოწვევით

კარგა ხნის მეგობრობა აკავშირებთ თბილისის ორთქლმავალვაგონშემკეთებელი და დარნიცკის (უკრაინა) ვაგონშემკეთებელი ქარხნების ფიზკულტურულ კოლექტივებს. ისინი ყოველწლიურად ესტუმრებიან ხოლმე ერთმანეთს და ამხანაგურ შეხვედრებს მართავენ სპორტის ცალკეულ სახეობებში. ამ ზაფხულს თბილისელი ფეხბურთელები იყვნენ დარნიცკში, ხოლო ახლახანს, ორთქლმავალვაგონშემკეთებელი ქარხნის 85 წლისთავის ზეიმის დღეებში, დარნიცკელი ძალოსნები ჩამოვიდნენ თბილისში. მატჩი, რომელიც „ლოკომოტივის" დარბაზში ჩატარდა, მასპინძლების გამარჯვებით დამთავრდა.

ტ. ვაჭარაძე.

ჩამორჩენილებიც არიან

ნაყოფიერად მუშაობს დოსააფის ცხაკაიის რაიონული კომიტეტი (თავმჯდომარე ა. ლომაია), რომელიც 131 პირველადი ორგანიზაციის 17 ათასამდე წევრს აერთიანებს. აქ სათანადო ყურადღება ეთმობა სპორტის ტექნიკური სახეობების დანერგვასა და განვითარებას, ნიშნოსნებისა და თანრიგოსნების მომზადებას. ხშირად ეწყობა ლექცია-მოხსენებები, შეხვედრები ომის ვეტერანებთან, ძველ ბოლშევიკებთან. მოწინავე პირველად კოლექტივებს შორის განსაკუთრებით გამოირჩევიან ხალიჩების ფაბრიკის, კავშირგაბმულობის, საყოფაცხოვრებო მომსახურების, კომუნალური საწარმოთა კომბინატის, ზანის, ხორშის, ქვემო ფოცხის, ძველი სენაკის კოლმეურნეობების, ნოსირის, ძველი სენაკისა და ახალისენაკის დაფნის საბჭოთა მეურნეობების ორგანიზაციები.

ამას ვერ ვიტყვით ცხაკაიის საშენ მასალათა კომბინატის, მეფრინველეობის ფერმის, რკინიგზის სანატორიუმის ორგანიზაციებზე, ისინი წლების განმავლობაში ვერ ასრულებენ საწევრო ანარიცხების აკრეფისა და ნიშნოსნების მომზადების გეგმებს.

ე. გუგუნავა,
(ჩვენი კორ.).

ცხაკაია.

შიდასაკოლექტივო

ქუთაისის განათლების განყოფილების ბავშვთა კომპლექსურ სპორტულ სკოლაში ჩატარდა შიდასაკოლექტივო პირველობა კლასიკურ ჭიდაობაში, რომელიც გ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავს მიეძღვნა.

უფროსი და უმცროსი ასაკის სპორტსმენები ცალ-ცალკე ასპარეზობდნენ. უფროსი ასაკის ჯგუფში წონითი კატეგორიების მიხედვით გაიმარჯვეს შ. ჭებულაძემ, ნ. გებელაძემ, ნ. გალოგრემ, ბ. ფხაკაძემ, გ. ბარაბაძემ, დ. მაღლაფერიძემ. უმცროს ასაკში პირველობა მოიპოვეს თ. უგულავამ, თ. გაბუნიამ, ა. ჩიხლაძემ, გ. კუტივაძემ, რ. გოცირიძემ, ბ. თათვიძემ, დ. ჩხენკელმა, თ. რევიშვილმა, შ. საჯაიამ, პ. ქორჩაკიძემ, ზ. დანგაძემ და გ. გედენიძემ.

შ. ნიჟარაძე.
(ჩვენი კორ.).

ქუთაისი.

როგორ მოვაწყოთ სასწავლო-ტრამპლინი

ახალგედა მოთხილამურის დასახმარებლად



ნახ. 1. ბუნებრივი ტრამპლინი.



ნახ. 2. მთის ფერდობის პროფილის გადაღება.



ნახ. 3. ტრამპლინის გეგმა (ზევით) და პროფილი.



ნახ. 4. მოთხილამურის მდგომარეობა ხტომის სხვადასხვა ფაზაში.

ტრამპლინიდან თხილამურებით ხტომა სრულდება ფერდობზე სპეციალურად მოწყობილი ნაგებობიდან. სპორტსმენი ზემოდან დაშვების შემდეგ ასახტომ მაგიდაზე აირეკნება და ფერდობის ქვემო ნაწილზე ეშვება. ნახტომის საერთო სიგრძე (არეკნის ადგილიდან დახტომის წერტილამდე) ძირითადად დამოკიდებულია ტრამპლინის ზომასა და მის პროფილზე. ფერდობის ქვემო ნაწილის (დახტომის ფერდობის) პროფილის შეცვლა იწვევს მოთხილამურის ვარდნის სიღრმისა (ვერტიკალურად) და ნახტომის ჰორიზონტალური ფრენის სიგრძის ურთიერთშეფარდების შეცვლას.

ტექნიკის განვითარება და ნახტომის სიგრძის ზრდა დაკავშირებულია ტრამპლინის ზომებთან და მის პროფილთან.

ნახტომის საანგარიშო სიგრძის (სიმძლავრის) მიხედვით ტრამპლინები სხვადასხვა სახისაა:

1. მცირე, ანუ სასწავლო (ნახტომის სიგრძით 30 მეტრამდე), 2. საშუალო, ანუ საწვრთნელი (30-დან 50 მეტრამდე), 3. დიდი ანუ სპორტული (50-დან 90 მეტრამდე), 4. სარეკორდო (90 მეტრს ზევით).

საერთაშორისო წესებით, მსოფლიო პირველობისა და ოლიმპიური თამაშებისთვის ტრამპლინების საანგარიშო სიმძლავრის ზღვარად დადგენილია 90 მ. ჩვენი ქვეყნის ყველა პირველობაც 90-მეტრიანი სიმძლავრის (არა უმეტეს) ტრამპლინებზე ეწყობა.

აგების ხერხის მიხედვით ტრამპლინები სამი სხვადასხვა სახისაა: ბუნებრივი, კომბინირებული და ხელოვნური.

ბუნებრივ ტრამპლინებს აგებენ მთის ფერდობზე მიწის განსაზღვრული სამუშაოების ჩატარების შემდეგ. თუ შესაძლებელია სათანადო ფერდობის შერჩევა, მაშინ ასეთი ტრამპლინის აგება უფრო იოლი და იაფია. ბუნებრივ ტრამპლინებს საერთოდ მცირე ზომისას აკეთებენ, თუმცა, მთიან ადგილებში ხანდახან შეიძლება შეირჩეს ისეთი ფერდობი, რომელიც დიდი ბუნებრივი ტრამპლინის აგების საშუალებას იძლევა. მაგალითად, კრასნოიარსკში აშენდა ბუნებრივი ტრამპლინი, რომლის საპროექტო სიმძლავრე 70 მეტრია.

კომბინირებული ტრამპლინები შენდება მაშინ, როცა მთის ფერდობს საკმარისი სიმაღლე არა აქვს. ამ შემთხვევაში უმეტესად იყენებენ ზედნაშენს (ხისგან, ლითონისგან, ბეტონისგან) დაქანების ფერდობისთვის, ზოგჯერ კი დახტომის ფერდობის ზემო ნაწილისთვისაც. კომბინირებული ტრამპლინი ყველაზე მეტად გავრცელებულია.

ხელოვნური ტრამპლინები მთლიანად ხის, რკინა-ბეტონის ან სხვა მასალისგან შენდება და მეტად ძვირი ჯდება.

მცირე ზომის ხელოვნური ტრამპლინების აგება შეიძლება საკუთარი ძალითაც, ამასთან იგი მეტად მოხერხებულია პირველდაწყებითი ვარჯიშისთვის.

როგორ ავაგოთ მარტივი ტიპის ტრამპლინი თოვლისგან? ამისთვის საჭიროა მოვძებნოთ ისეთი დახრილობის ფერდობი, რომლის ზემო ნაწილის დაქანება 15-25 გრადუსს უდრის, ხოლო ქვედა ნაწილისა — 25-35 გრადუსს. მათ შორის მდებარე ნაწილში კეთდება 1-1,5 მ სიმაღლისა და 2-3 მ სიგანის თოვლის შვერილი (მაგიდა). მაგიდის მოსაწყობად ფერდობზევე ნიჩბებით შეიძლება ამოვჭრათ თოვლის ზოდები, რომლებიც ერთმანეთს დაეწყობა და კედლის მსგავსად ამოიყვანება. არეკნის მაგიდის ფუძის სიმაგრისა და სისწორისთვის შეიძლება გამოვიყენოთ ხის წვრილი ძელები ან ფიცარი, რასაც სასურველ ადგილზე პალოებით ამაგრებენ. სასურველია სამუშაო შესრულდეს ლეღმა თოვლზე, ვინაიდან მოყინვის შემდეგ მაგიდა უფრო მყარდება. მაგიდის მოწყობის შემდეგ თხილამურებით „კიბისებური" ასვლით კარგად უნდა დავტკეპნოთ და გავასწოროთ თოვლი დაქანებისა და დახტომის ბაქნებზე, განსაკუთრებით, ფერდობის ქვედა მონაკვეთზე. ასეთი ტრამპლინიდან ხტომისას თანდათანობით უნდა გავადიდოთ დაქანების გორაკი იმისთვის, რომ შევამოწმოთ ტრამპლინი და შევარჩიოთ სასტარტო ბაქნის ადგილი (ნახ. 1).

რაც შეეხება დიდი ზომის ტრამპლინებს, მათ ასაშენებლად თავდაპირველად საჭიროა შერჩეული ფერდობის პროფილის გადაღება. ვარჩევთ „მრუდს" (ტრამპლინის მრუდი), რომელიც უფრო შეესაბამება ფერდობის არსებულ პროფილს და სამუშაოთა ყველაზე ნაკლებ მოცულობას მოითხოვს.

პროფილის გადაღება (ნიველირება) შეიძლება საკუთარი ძალებით. ამისთვის იღებენ ორ ორმეტრიან ხის ლარტყს. ერთ-ერთზე აღნიშნავენ სანტიმეტრიან დანაყოფებს. მთის ფერდობის ძირში, გადაღების საწყისი წერტილის დასანიშნად ხის პალოს ასობენ. პალოსთან ვერტიკალურად დგამენ ერთ დანაყოფებიან ლარტყს, ხოლო ზემოდან, ფერდობის მიმართულებით, ჰორიზონტალურად დებენ მეორეს და თარაზოს საშუალებით ასწორებენ. დანაყოფებიანი ლარტყის მეშვეობით განსაზღვრავენ ზედა წერტილსა და ქვედა წერტილს შორის ნამატს (ნახ. 2). შემდეგ ვერტიკალური ლარტყი გადააქვთ ჰორიზონტალური ლარტყის ბოლოზე, განსაზღვრავენ ნამატს შემდეგი ორმეტრიანი მონაკვეთისთვის და ა. შ.

ყოველი მონაკვეთის ნამატის რიცხობრივ შედეგს სვეტად ჩამოწერენ. ნამატთა საერთო ჯამი გვიჩვენებს ფერდობის სიმაღლეს, ხოლო ჩანაწერების ცალკეული მონაცემების მიხედვით იოლია ფერდობის მთელი პროფილის მასშტაბით გამოხაზვა.

ტრამპლინი შედგება შემდეგი ნაწილებისგან:

1. სასტარტო ბაქანი; 2. დაქანების ფერდობი; 3. მისასვლელის მრუდი; 4. არეკნის მაგიდა, 5. შემაერთებელი მრუდი; 6. დახტომის ადგილი; 7. გარდამავალი მრუდი; 8. ფინიშის მოედანი, რომელსაც შეიძლება კონტრდაქანება ჰქონდეს (ნახ. 3).

მოგვყავს ტრამპლინის პროფილის ზომები:

ხტომის საანგარიშო სიგრძე მეტრებში	15-20	21-30	31-40	41-50
დაქანების ფერდობის დახრილობის კუთხე გრადუსებში	15-25	20-30	25-30	30-35
დასახტომი გორაკის დახრილობის კუთხე გრადუსებში	28-34	32-36	34-38	34-38
არეკნის მაგიდის დახრილობის კუთხე გრადუსებში	2-3	3-4	4-6	5-6
არეკნის მაგიდის შვერილის სიმაღლე მეტრებში	0,5-1,0	1,0-2,0	1,5-3,0	2,5-3,0
დაქანების ბილიკის სიგანე მეტრებში	2,0	2,5	3,0	3,0-4,0
დახტომის ფერდობის სიგანე	5-8	8-12	12-16	16-20
ფინიშის მოედნის სიგრძე	40-80	60-100	80-120	90-130
ხტომის სიღრმის შეფარდება სიგრძესთან	0,45-0,50	0,48-0,52	0,50-0,54	0,52-0,56

საერთოდ, ტრამპლინების მშენებლობის დროს ორ ფაქტორს ითვალისწინებენ. ერთ შემთხვევაში ანგარიშობენ ტრამპლინის მრუდს ხტომის მოცემული სიგრძის მიხედვით. ამ შემთხვევაში აწარმოებენ გაანგარიშებას და შეარჩევენ მთის შესაფერის ფერდობს ან საჭიროებისამებრ დააშენებენ. მეორე შემთხვევაში გაანგარიშება ხდება მთის ფერდობის მიხედვით, ე. ი. საზღვრავენ, თუ როგორი სიმძლავრის ტრამპლინის აშენება შეიძლება მოცემულ ფერდობზე და რომელი პროფილი ნაკლებ სამუშაოს მოითხოვს. ორივე შემთხვევაში შეიძლება ერთი და იმავე ფორმულებითა და მეთოდებით სარგებლობა, მაგრამ გაანგარიშების საფუძვლად შესაბამისი პირობები უნდა მივიღოთ.

ტრამპლინიდან თხილამურებით ხტომა რამდენიმე ფაზას შეიცავს. ესაა: 1. დაქანება, 2. არეკნი, 3. ფრენი, 4. დახტომი, 5. გაჩერება

დაქანების დანიშნულებაა სრიალის მაქსიმალური სისწრაფის მოპოვება, რაც საჭიროა შედეგიანი ხტომის არეკნის შესრულებისთვის. ამისთვის მოთხილამურე დაქანების ფერდობზე მისრიალებს დაბალ დგომში, რითაც ჰაერის წინააღმდეგობას ამცირებს და ემზადება არეკნის ფაზის შესასრულებლად.

ხტომის ყველაზე რთული და საპასუხისმგებლო მომენტია არეკნი. მოთხილამურე მისასვლელი მრუდის გავლით უახლოვდება ამრეკნი მაგიდის კიდეს, ასრულებს კვრას, რის დროსაც სწრაფად იმართება წინ და ზემოთ. არეკნის ფაზა უნდა დაემთხვეს იმ მომენტს, როდესაც ორივე ფეხის ტერფი ასარეკნი მაგიდის წინა კიდეზეა. თხილამურებით კვრა ანუ არეკნი ორივე ფეხით სრულდება. მისი ნაადრევი ან დაგვიანებული დამთავრება ხტომის სიგრძეს ამცირებს. არეკნის სწორი შესრულებით მოთხილამურე ზრდის ფრენს და ნახტომის სიგრძეს. ფრენის დროს სპორტსმენი წინაა გადახრილი ისე, რომ მენჯ-ბარძაყის სახსარში არ იღუნება, ფეხები ერთადაა, მუხლები გამართული, ფეხის ტერფები თხილამურებთან ერთად ქმნიან მახვილ კუთხეს. ხელები ტანზეა მიბჯენილი ხელისგულებით, ან თავს ზემოთაა გამართული. თხილამურები ფრენის დროს ერთ სიბრტყეზეა ერთმანეთთან ახლოს, წვერებით აწეული 5-20-გრადუსიანი კუთხით ფრენის ტრაექტორიის მიმართ. მოთხილამურის მოძრაობა ფრენის დროს დამაჯერებელი უნდა იყოს (ნახ. 4).

დახტომი ფეხშლით სრულდება, ე. ი. დასახტომ ფერდობზე თხილამურებით თოვლზე შეხების მომენტში მხტომელი ფეხშლას აკეთებს — ერთი ფეხი წინ გააქვს, მეორე — უკან და მუხლებს ოდნავ კეცავს, რითაც თოვლზე თხილამურების დარტყმის სიძლიერეს ამცირებს. ამ დროს ნაბიჯის სიგრძე საშუალოდ 50-70 სმ-მდე აღწევს. მკლავების წინმკლავში და განმკლავში გაშლა კი სპორტსმენს ეხმარება წონასწორობის უკეთ შენარჩუნებაში.

დახტომის შემდგომ სრიალი უმთავრესად ფეხშლით მიმდინარეობს და გაჩერებამდე რყევა და ზედმეტი ქანაობა არ უნდა იგრძნობოდეს. დახტომა და გაჩერება მყარად და დამაჯერებლად უნდა შესრულდეს. ხტომებში შეჯიბრების დროს გამარჯვებული ვლინდება არა მარტო ხტომის სიგრძეში მიღებული შედეგით, არამედ ხტომის ყაიდაში ანუ მის ლამაზად შესრულებაში მიღებული ქულებითაც. ამიტომ წვრთნისას ხტომის სიგრძესთან ერთად მის ლამაზად შესრულებასაც უნდა მიექცეს სათანადო ყურადღება.

პ. ასტახიშვილი,
საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის ალპინიზმის, ტურიზმისა და სამთოსათხილამურო სპორტის კათედრის უფროსი მასწავლებელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ჩემპიონატი

ფეხბურთი
საქართველოს

1968 წლის გათამაშების ცხრილი

I ჯგუფის II ქვეჯგუფი

II ზონა

საბოლოო მდგომარეობა

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„სალხინო" (გეგეჭკორი)	26	18	5	3	65—19	41
„განთიადი" (აბაშა)	26	14	9	3	31—13	37
„კოლხეთი" (ხობი)	26	14	8	4	36—21	36
„ტორპედო" (ქუთაისი)	26	12	9	5	30—22	33
„განახლება" (ადიგენი)	26	12	5	9	28—29	29
„სამგურალი" (წყალტუბო)	26	12	4	10	33—29	28
„იმერეთი" (თერჯოლა)	26	10	8	8	33—32	28
„კოლმეურნე" (ჩხოროწყუ)	26	9	7	10	21—22	25
„დინამო" (ოჩამჩირე)	26	8	9	9	17—21	25
„ჩიხურა" (საჩხერე)	26	7	8	11	24—37	22
„ელექტრიკოსი" (ქუთაისი)	26	6	7	13	23—32	19
„საირმე" (მაიაკოვსკი)	26	5	6	15	23—46	16
„კოლხეთმშენი" (ფოთი)	26	6	3	17	25—51	15

შემდგომი განვითარებისთვის

ახალი, 1969 წლის საფეხბურთო სეზონისთვის უკეთ მომზადებისა და რესპუბლიკის ჩემპიონატის ორგანიზებულად ჩატარების მიზნით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტმა მიიღო დადგენილება, რომელიც 1969-70 წლებისთვის სახელმძღვანელოდ დაეგზავნა ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტებს და სპორტსაზოგადოებათა და უწყებათა ხელმძღვანელებს.

1968 წლის საქართველოს პირველობის შედეგების მიხედვით I ჯგუფში ბოლო 4 ადგილზე გასული გუნდები — „ქართლი" (გორის რაიონი), „ისანი" (თბილისი), „გარეჯი" (საგარეჯო), „არაგვი" (მცხეთა) გადაყვანილი არიან II ჯგუფში, ხოლო II ქვეჯგუფის ზონებში გამარჯვებული გუნდები — „შრომითი რეზერვები" (გარდაბანი) და „სალხინო" (გეგეჭკორი) ითამაშებენ I ჯგუფში.

რესპუბლიკის პირველობის II ქვეჯგუფში გადაყვანილი არიან ზონებში გამარჯვებული გუნდები— „აერო" (თბილისი) და ონის „ჩორდმშენი".

დადგინდა, საქართველოს 1969 წლის ჩემპიონატი ფეხბურთში დაიწყოს 23 თებერვალს, ამასთან, დამტკიცდა გათამაშების კალენდარი.

შეჯიბრების დებულებაში მოხდა რამდენიმე სერიოზული ცვლილება. მაგალითად, ჩვენი რესპუბლიკის გუნდი, რომელიც 1969 წელს უარეს ადგილს დაიკავებს სსრ კავშირის პირველობაზე „ა" კლასის II ქვეჯგუფში, 1970 წლისთვის გადავა „ბ" კლასში, ხოლო მის ადგილს დაიკავებს „ბ" კლასის საუკეთესო გუნდი ჩვენივე რესპუბლიკიდან.

„ბ" კლასის გუნდი, რომელიც საქართველოს წარმომადგენელთა შორის დაიკავებს უარეს ადგილს საკავშირო შეჯიბრებაში 1969 წელს, 1970 წელს გადავა რესპუბლიკური პირველობის გათამაშებაში, ხოლო მის ადგილს „ბ" კლასში დაიკავებს საქართველოს ჩემპიონი, მაგრამ იმ პირობით, თუ მას ექნება სტადიონი 10 ათასი დასაჯდომი ადგილით. თუ ჩემპიონს ასეთი სტადიონი არ ექნა, „ბ" კლასში თამაშის უფლება მიეცემა მომდევნო ადგილზე მყოფ გუნდს, რომელიც უზრუნველყოფს სათანადო პირობებს.

გუნდები, რომლებიც რესპუბლიკის პირველობაზე I ჯგუფში დაიკავებენ ბოლო 2 ადგილს, 1970 წლისთვის გადავლენ II ქვეჯგუფში, ხოლო II ქვეჯგუფის ზონებში პირველ ადგილებზე გამოსული 2 გუნდი დაიკავებს მათ ადგილებს I ჯგუფში.

იმ მიზნით, რომ „ბ" კლასისა და რესპუბლიკის ჩემპიონატებში მონაწილე კოლექტივებში ვრცლად დაეთმოს ადგილი ახალგაზრდებს, დაწესებულია ასეთი ლიმიტები: გუნდს უფლება აქვს ყოველ თამაშში გამოიყვანოს 5 ფეხბურთელი 22 წლის ასაკამდე, 4—26 წლამდე და 2 — მეტი ასაკისა.

1969 წლის გათამაშების კალენდარი

თებერვალი-მარტი

✦

23 თებერვალი. ასკ (თბილისი) — „სალხინო" (გეგეჭკორი), ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „შრომითი რეზერვები" (გარდაბანი). „კოლხეთი" (ცხაკაია) — „ნარინჯი" (ბათუმის რაიონი), „მეტალურგი" (ზესტაფონი)— „კოლმეურნე" (წალენჯიხა), „სინათლე" (თბილისი) — „მესხეთი" (ახალციხე), „სულორი" (ვანი) — „სამცხე" (აწყური), „ლოკომოტივი" (სამტრედია) — „ლაითური" (მახარაძის რაიონი), „სპარტაკი" (ბორჯომი) — „ბახმარო" (ჩოხატაური), „ფეიქარი" (წულუკიძე) — „აერო" (გალი), „დურუჯი" (ყვარელი) — „მშენებელი" (სიღნაღი).

2 მარტი. „სალხინო" (გეგეჭკორი) — „მშენებელი" (სიღნაღი), „აერო" (გალი) — „დურუჯი" (ყვარელი), „ბახმარო" (ჩოხატაური) — „ფეიქარი" (წულუკიძე), „ლაითური" (მახარაძის რ-ნი) — „სპარტაკი" (ბორჯომი), „სამცხე" (აწყური) — „ლოკომოტივი" (სამტრედია), „მესხეთი" (ახალციხე)— „სულორი" (ვანი), „კოლმეურნე" (წალენჯიხა) — „სინათლე" (თბილისი), „ნარინჯი" (ბათუმის რ-ნი) —„მეტალურგი" (ზესტაფონი), „შრომითი რეზერვები" (გარდაბანი) — „კოლხეთი" (ცხაკაია), ასკ (თბილისი) — ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი).

9 მარტი. ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „სალხინო" (გეგეჭკორი), „კოლხეთი" (ცხაკაია) — ასკ (თბილისი), „მეტალურგი" (ზესტაფონი)— „შრომითი რეზერვები" (გარდაბანი), „სინათლე" (თბილისი) — „ნარინჯი" (ბათუმის რ-ნი), „სულორი" (ვანი) — „კოლმეურნე" (წალენჯიხა), „ლოკომოტივი" (სამტრედია) — „მესხეთი" (ახალციხე), „სპარტაკი" (ბორჯომი) — „სამცხე" (აწყური), „ფეიქარი" (წალენჯიხა) — „ლაითური" (მახარაძის რ-ნი), „დურუჯი" (ყვარელი) — „ბახმარო" (ჩოხატაური), „მშენებელი" (სიღნაღი) — „აერო" (გალი).

16 მარტი. „სალხინო" (გეგეჭკორი) — „აერო" (გალი), „ბახმარო" (ჩოხატაური) — „მშენებელი" (სიღნაღი), „ლაითური" (მახარაძის რ-ნი) — „დურუჯი" (ყვარელი), „სამცხე" (აწყური) — „ფეიქარი" (წულუკიძე), „მესხეთი" (ახალციხე) — „სპარტაკი" (ბორჯომი), „კოლმეურნე" (წალენჯიხა) — „ლოკომოტივი" (სამტრედია), „ნარინჯი" (ბათუმის რ-ნი) — „სულორი" (ვანი), „შრომითი რეზერვები" (გარდაბანი) — „სინათლე" (თბილისი), ასკ (თბილისი) — „მეტალურგი" (ზესტაფონი), ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „კოლხეთი" (ცხაკაია).

23 მარტი. „კოლხეთი" (ცხაკაია) — „სალხინო" (გეგეჭკორი), „მეტალურგი" (ზესტაფონი) —ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი), „სინათლე" (თბილისი) — ასკ (თბილისი), „სულორი" (ვანი) — „შრომითი რეზერვები" (გარდაბანი), „ლოკომოტივი" (სამტრედია) —„ნარინჯი" (ბათუმის რ-ნი), „სპარტაკი" (ბორჯომი) — „კოლმეურნე" (წალენჯიხა), „ფეიქარი" (წულუკიძე) — „მესხეთი" (ახალციხე), „დურუჯი" (ყვარელი) — „სამცხე" (აწყური), „მშენებელი" (სიღნაღი) — „ლაითური" (მახარაძის რ-ნი), „აერო" (გალი) — „ბახმარო" (ჩოხატაური).

30 მარტი. „სალხინო" (გეგეჭკორი) — „ბახმარო" (ჩოხატაური), „ლაითური" (მახარაძის რ-ნი) — „აერო" (გალი), „სამცხე" (აწყური) — „მშენებელი" (სიღნაღი), „მესხეთი" (ახალციხე) — „დურუჯი" (ყვარელი), „კოლმეურნე" (წალენჯიხა) — „ფეიქარი" (წულუკიძე), „ნარინჯი" (ბათუმის რ-ნი), — „სპარტაკი" (ბორჯომი), „შრომითი რეზერვები" (გარდაბანი) — „ლოკომოტივი" (სამტრედია), ასკ (თბილისი) — „სულორი" (ვანი), ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „სინათლე" (თბილისი), „კოლხეთი" (ცხაკაია)— „მეტალურგი" (ზესტაფონი).

ახალი ამბები

● **სტოკჰოლმი, 3 იანვარი.** 18 ქვეყნის 190 სპორტსმენმა განაცხადა სურვილი მონაწილეობა მიიღოს იუნიორ მოთხილამურეთა ევროპულ ჩემპიონატში. ასპარეზობა გაიმართება 28 თებერვლიდან 2 მარტამდე შვეციის პატარა ქალაქ ბოლნაესში.

● **ბრიუსელი,** 3 იანვარი. ბელგიის დედაქალაქის ბიბლიოთეკის მუშაკი, ძალოსნობაში მეხიკოს ოლიმპიადის ვერცხლის მედლის მფლობელი მძიმე წონაში ს. რედინგი დასახელებულია ამ ქვეყნის საუკეთესო სპორტსმენად.

● **ინცელი,** 3 იანვარი. გრენობლის თეთრი ოლიმპიადის ჩემპიონი ციგურებით 500 მეტრზე რბოლაში ე. კელერი, ადგილობრივ საციგურაოზე გამართულ შეჯიბრებაში მხოლოდ მეხუთე იყო 1000 მეტრზე რბოლაში. გაიმარჯვეს ადგილობრივმა სპორტსმენებმა გ. ციმერმანმა და პ. დიუფტერმა. პირველმა მცირე მრავალჭიდში მოაგროვა 181,310 ქულა, მეორე კი უძლიერესი იყო 500, 1000 და 1500 მეტრზე რბოლებში.

● **გრონინგენი,** 3 იანვარი. ევროპის ქვეყნების იუნიორ მოჭადრაკეთა ტურნირზე დაიწყო ფინალური შეხვედრები. 2 ტურის შემდეგ მედერს (გფრ) 2 ქულა აქვს, უებს (ინგლისი) — 1,5, საბჭოთა ოსტატს რ. ვაგანიანს — 1 და ერთიც დაუმთავრებელი პარტია.

● **სან-პაულუ,** 3 იანვარი. ევროპის ჩემპიონისა და რეკორდსმენის, ბელგიელი გ. რულანტსის გამარჯვებით დამთავრდა აქ გამართული საახალწლო ტრადიციული შეჯიბრება 8,5 კილომეტრზე რბოლაში. გამარჯვებულის დრო — 24.32,9.

● **მოსკოვი, 3 იანვარი.** სსრ კავშირისა და ავსტრიის ბადმინტონისტთა გუნდების ამხანაგური მატჩი მოიგეს ჩვენმა სპორტსმენებმა — 10:1. პირად შეჯიბრებაში საუკეთესონი იყვნენ ტ. შეშეხონოვა (დნეპროპეტროვსკი) და ა. ვაგილოვი (მოსკოვი). სსრ კავშირის პირველმა ჩოგნებმა მოუგეს მეტოქეებს ანგარიშით 2:0.

6 წელი ავღანეთში

მე და შოთა ნიჟარაძე, ავღანეთის მოჭიდავეთა ნაკრები გუნდის უფროსი მწვრთნელი, მასის მიწურულს ერთად ავდიოდით საჰაერო ლაინერ „ილ-18"-ის ტრაპზე, რომელსაც კურსი ქაბულისკენ ეჭირა.

სექტემბრის დასაწყისში ვესტუმრე მას. შოთა ქაბულის ცენტრში, მოჭიდავეთა ნაკრები გუნდის სავარჯიშოდ ქირით აღებულ სახლში ცხოვრობს (მან უარი განაცხადა საბჭოთა სპეციალისტებისთვის საგანგებოდ აგებულ მრავალსართულიან კომფორტაბელურ სახლში გადასვლაზე). ოციოდე დღის წინ შოთა ნიჟარაძე მოსკოვს გაფრენილა. მის დაბრუნებას არავინ ელოდა, თუმცა ამაზე იყო დამოკიდებული, მიიღებდა თუ არა ავღანეთი ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობას.

მასპინძელი შინ არ დამიხვდა. სამაგიეროდ ეზოში თავი მოეყარათ მის აღსაზრდელებს, რომლებსაც უკვე გაეგოთ, რომ მათი საყვარელი „მოალემ საიბი" (ბატონი მასწავლებელი) დაბრუნებულიყო. ვსაუბრობთ. ვათვალიერებთ საწვრთნელ კომპლექსს. მცირე ფართობის ღარიბულად მოწყობილი დარბაზი. წვრთნა ძირითადად ღია ცის ქვეშ მიმდინარეობს. დარბაზში პრიმიტიულად ნაკეთები დამხმარე ტანვარჯიშული და ძალოსნური იარაღები დგას. აქვეა ხალიჩები —ჩვენი მოჭიდავეების საჩუქარი ავღანელი სპორტსმენებისადმი.

— რასაც აქ ხედავთ ყველაფერს ბატონი შოთას ხელი ატყვია: ჩვენც მასთან დავიწყეთ ჭიდაობა და ალბათ მასთანვე დავამთავრებთ — მეუბნება ავღანეთის ჩემპიონი მიაგოლ ნაზარი.

შოთა ჭიდაობას ქუთაისში ეზიარა ი. ბობოხიძესთან. შემდეგ მინსკში გადავიდა სასწავლებლად და საჭიდაო სარბიელზეც გამოდიოდა. 1955 წელს იგი საკავშირო პირველობის III პრიზიორი იყო, 1960 წელს კი მწვრთნელად დაიწყო მუშაობა. იგი ჯერ მოსკოვის ახალგაზრდული ნაკრები გუნდის უფროს მწვრთნელად დანიშნეს, შემდეგ კი მიავლინეს ავღანეთში, სადაც ჩვენი ქვეყნის თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა ნაკრები გუნდის ახლანდელი უფროსი მწვრთნელი ა. დიაკინი შეცვალა.

პირველი პერიოდი ძალიან ძნელი აღმოჩნდა, არ იყო საწვრთნელი ბაზა, დარბაზი, არ არსებობდა გუნდიც კი, რომლის ბაზაზეც ნაკრების კანდიდატების შერჩევა შეიძლებოდა.

შოთამ მოხალისეების შერჩევით დაიწყო. ეძებდა მათ ქაბულის ქუჩებსა და ბაზრებში, სკოლებსა და უბნებში, ჩაიხანასა და სხვადასხვა სახელოსნოში. ჭიდაობა ავღანელთა პირველი სპორტული გატაცებაა, მაგრამ გუნდის შექმნა თითქმის შეუძლებელი იყო. საქმე ისაა, ჭიდაობა მატერიალურად არაფერს იძლეოდა. ნიჟარაძის აღსაზრდელებში კი შეხვდებით სტუდენტსა და მოსწავლეს, მედუქნესა და ყასაბს, მექანიკოსსა და მეწაღეს, რომელთა მთავარი საზრუნავი ოჯახის მატერიალური უზრუნველყოფაა. თავად განსაჯეთ: ავღანეთის პირველი მოჭიდავე, ტოკიოს ოლიმპიადაში V ადგილზე გასული, აზიური თამაშების პრიზიორი მუჰამედ იბრაჰიმი დილიდან გვიან საღამომდე ხორცს ყიდის, შემდეგ კი სავარჯიშოდ მიდის.

საჭირო იყო წვრთნისთვის შესაფერი პირობების შექმნა. შოთამ დააინტერესა რამდენიმე საბჭოთა სპეციალისტი და მათ ერთად მოაწყვეს საწვრთნელი კომპლექსი. ხალიჩები ავღანელმა მოჭიდავეებმა საჩუქრად მიიღეს თავიანთი საბჭოთა კოლეგებისგან. საჭირო იყო დაინტერესება და მხარდაჭერა ავღანეთის მმართველი წრეების მხრიდან. შოთამ ამასაც მიაღწია.

საჭირო იყო სპორტული შედეგები. შოთამ გადაწყვიტა მოემზადებინა გუნდი ტოკიოს ოლიმპიადისთვის. 1964 წელს პირველად გაემგზავრა 9 ავღანელი მოჭიდავე ოლიმპიურ თამაშებზე და მათი მთავარი დამრიგებელი ქართველი კაცი — შოთა ნიჟარაძე გახლდათ. შედეგი? იხებეთ: V, IX, XI, XII ადგილები. ეს მიჩნეულ იქნა უდიდეს წარმატებად. ქაბული თავის წარგზავნილებს ზარ-ზეიმით შეხვდა.

... დროდადრო კარი იღება და ღიმილით შემოდიან კუნთმაგარი ჭაბუკები. შემოდიან და ეხვევიან, მოდიან დაღლილ-დაქანცულნი პირდაპირ სამუშაოდან, მოდიან ნაკრები გუნდის წევრები, რომ თავდახრილებმა ბოდიში მოიხადონ: მათ შოთას წასვლის შემდეგ არ უვარჯიშიათ.

— ჩვენ სხვა მწვრთნელს არ ვცნობთ. თუ შოთა წავიდა, ჩვენც დავანებებთ თავს ჭიდაობას — იმეორებს მეგობრის სიტყვებს ავღანეთის ჩემპიონი ჯონ-ალა.

— მახსოვს, როგორ ეძნელებოდა პირველად რომ ჩამოვიდა. თუნდაც ენა ავიღოთ. როგორი ენერგიითა და მონდომებით იწერდა ყოველ სიტყვას. სულ მალე იგი მათ მშობლიურ ენაზე ესაუბრებოდა მოჭიდავეებს, — მითხრა სახლის პატრონმა, ჭიდაობის ტრფიალმა, დარბაისელმა მოხუცმა.

ქაბულის ბაზარში (ნახევარი ქაბული კი ქალაქი-ბაზარია) ერთ-ერთ ავღანელს ვუპასუხე, გურჯისტანიდან ვარ-მეთქი. მან გაიღიმა და მითხრა: ვიცი, ჩვენი მოალემ საიბიც ხომ გურჯია. ყველა გურჯი მასავით კეთილი და ბრძენი კაციაო ალბათ.

... მეხიკოსთვის ვემზადებით — მეუბნება შოთა, ოთხი-ხუთი თავისუფალი სტილით მოჭიდავე გაემგზავრება მექსიკაში. პროგნოზი? არაფრის თქმა არ შემიძლია, თუნდაც ერთი საპრიზო ადგილი რომ დავიკავოთ, ესეც მიღწევაა ჩვენთვის. საქართველოს რომელიმე რაიონულ სპორტულ ორგანიზაციას ასეთი საწვრთნელი ბაზა, რომ ჰქონდეს, ალბათ განგაში ატყდებოდა, ჩვენ კი აქ ვამზადებთ ეროვნულ გუნდს ოლიმპიური თამაშებისთვის.

ეს ჩივილი არ იყო.

შოთა ნიჟარაძის თაოსნობით 1968 წლის ივლისში პირველად ჩატარდა ავღანეთის პირველობა ჭიდაობაში. მისივე ინიციატივით მოხერხდა იმ რამდენიმე საერთაშორისო შეხვედრის ჩატარება, რომლებმაც ხელი შეუწყვეს ავღანელი სპორტსმენების დაოსტატებას.

ჩვენს საუბარს რამდენიმე საბჭოთა სპეციალისტი შემოესწრო.

— ასეთ ადამიანზე წერა ძალიან ძნელია. შეუძლებელია მკითხველს გააცნო შოთა ნიჟარაძე ისეთი, როგორიც არის — ამბობს საბჭოთა საელჩოს სავაჭრო მრჩევლის აპარატის მთავარი ინჟინერი პ. სინიცინი.

— შოთა განა მარტო შესანიშნავი ორგანიზატორი და მწვრთნელია. ესაა ადამიანი, რომელიც მხოლოდ სხვებისთვის ცხოვრობს. მას ვერ წარმოუდგენია თავი საზოგადოების გარეშე. სხვათა შორის, შოთა შესანიშნავი კინომექანიკოსი და პირველი კლასის შოფერია, კარგად ფლობს ინგლისურ ენას, ხელმძღვანელობს საელჩოს აპარატის სპორტულ წრეებს. მან არ იცის, რა არის დაღლა. — ამბობს შოთას კოლეგა ა. სანკინი.

საუბარში **პ. სინიცინი** ჩაერია: — ერთხელ მეწაღესთან შევედი, საქმე მქონდა. ერთი თვის შემდეგ მოდით, მითხრა. ამ დროს ქუჩაში შოთამ გაიარა, მომესალმა. შემოვიდა. მეწაღეს სახე გაებადრა. მიესალმა, მოიკითხა. შემდეგ მე მკითხა, თქვენც მოჭიდავე ხართო? არა, მხოლოდ გულშემატკივარი და შოთას მეგობარი-მეთქი. მაშინ ორ დღეში მოდით და თქვენი ფეხსაცმელი წაიღეთო.

სანკინი: რატომ იმას არ ამბობთ, რომ შოთა მშვენივრად იცნობს ქართულ, რუსულ და ავღანურ სამზარეულოს, უგემრიელეს კერძებს რომ ამზადებს.

სინიცინი: შოთას ალბათ არ უთქვამს, რომ იგი ავღანეთის სამი სამეფო მედლის კავალერია, რამდენჯერმე იყო ავღანეთის მეფის მუჰამედ-ზაჰირშაჰის სტუმარი და მეფისაგან რამდენიმე პირადი საჩუქარი მიიღო.

მალე შოთა მშობლიურ მხარეს დაუბრუნდება, დაუბრუნდება და თან წამოიღებს ავღანელი ხალხის სითბოსა და სიყვარულს, იმ მიწაზე კი, სადაც მან რამდენიმე წელიწადს პატიოსნად იშრომა, დატოვებს კეთილ მოგონებას, დატოვებს ამ შრომის ნაყოფს.

ე. ზენაიშვილი.

• KOPANA • ФУТБОЛ • ფეხბურთი • LABDARUGAS •

ი. მარკო კმაყოფილია

ჩეხოსლოვაკიის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ი. მარკომ განაცხადა, რომ კმაყოფილია 1968 წლის სეზონის შედეგებით. ნაკრებს 4 ოფიციალური შეხვედრა ჰქონდა და ყველა მოიგო: იუგოსლავიასთან — 3:0, ბრაზილიასთან — 3:2, დანიასთან — 3:0 და 1:0. ამ შეხვედრების გარდა, ჩეხოსლოვაკიის პირველმა ნაკრებმა წლის განმავლობაში ჩაატარა 16 ამხანაგური მატჩი, რომელთაგან 11 მოიგო, 1 ფრედ დაამთავრა და 4 წააგო, ბურთების შეფარდებაა 50:21.

კარგი შედეგიანობით გამოირჩეოდნენ ნაკრების თავდამსხმელები ადამეცი და სიკორა, რომლებმაც 11-11 გოლი გაიტანეს.

„ფეხბურთი, ჩემი ბრძოლის ველი!"

ასეთი სათაურით გამოვიდა ინგლისში წიგნი, რომელიც ეძღვნება თავშეუკავებელი, უხეში თამაშით ცნობილ ნახევარმცველ ნ. სტაილსს (ინგლისის ნაკრები და „მანჩესტერ იუნაიტედი"). სტაილსს ხშირად აძევებენ მინდვრიდან, რის გამოც იგი არ უყვარს „მანჩესტერ იუნაიტედის" მენეჯერ მ. ბასბის. რაც შეეხება ნაკრების მწვრთნელ ა. რამსეის, იგი სტაილსს ნაკრების ერთ-ერთ ბურჯად მიიჩნევს. რითი აიხსნება რამსეის ასეთი სიმპათია? ჟურნალისტების აზრით, „რამსეი სტაილსში თავის ახალგაზრდობას ხედავს". ინგლისის ნაკრების ახლანდელი მენეჯერიც თავის დროზე ფრიად მკვეთრი, თავდაუზოგავი თამაშით გამოირჩეოდა.

„ფეხბურთი, ჩემი ბრძოლის ველი" ეხება მსოფლიოს უკანასკნელ ჩემპიონატს და მის მომდევნო ხანასაც. საქმე იქამდე მივიდა, რომ სტაილსის თვითეულ გამოსვლას მინდორზე მაყურებლები გამაყრუებელი სტვენით ხვდებიან. წიგნის ავტორებიც სათანადო იუმორით აღწერენ ასეთ შემთხვევებს.

დრეიკი და ჰეპგუდი

ეს ორი ფეხბურთელი ინგლისში დიდად პოპულარული იყო ომის წინ. დრეიკი „არსენალის" თავდამსხმელი გახლდათ და გრგვინავდა იმდროინდელი ფეხბურთის სამყაროში, ჰეპგუდს კი „რკინისებურ მცველს" უწოდებდნენ. იგი დრეიკის თანაკლუბელი იყო.

ამას წინათ ორივე განთქმული ფეხბურთელი დაესწრო დიდ ზეიმს, რომელიც „არსენალის" არსებობის 50 წლისთავს მიეძღვნა. „არსენალი" ეთამაშებოდა „ნიუკასლ იუნაიტედს", სწორედ იმ კლუბს, რომელიც 50 წლის წინ „არსენალის" პირველი მეტოქე იყო ინგლისის ჩემპიონატში. მატჩი ფრედ დამთავრდა — 0:0. 50 წლის მანძილზე „არსენალი" ინგლისის I ლიგაში გამოდის და არასოდეს განუცდია II ლიგაში გადასვლის სიმწარე.

ა. რამსეი კრიტიკის ქარცეცხლში

ინგლისის პრესა მკაცრად აკრიტიკებს ნაკრების მთავარ მწვრთნელს ა. რამსეის, რომლის სისტემას — უგარემარბებოდ თამაშს მცდარს უწოდებს. მიმომხილველები მიუთითებენ, რომ ასეთმა თამაშმა ინგლისის ნაკრები ჩიხში ჩააყენა რუმინელებთან ბუქარესტში (0:0) და ბულგარელებთან ლონდონში (1:1), სადაც თავდასხმა სრულიად უმწეოდ გამოიყურებოდა.

გაზეთ „დეილი ექსპრესის" აზრით, მომავალში აღარ უნდა გამეორდეს „თამაში ფრთების გარეშე", რომელიც რამსეიმ მსოფლიოს უკანასკნელ ჩემპიონატში გამოიყენა და დღემდე ხელს არ იღებს მასზე.

688 მწვრთნელი „ყირამალა"

ინგლისის ფეხბურთის ფედერაციის მიერ გამოქვეყნებული ცნობით, ვადაზე ადრე განთავისუფლდნენ კლუბებიდან ცნობილი მწვრთნელები ბ. მაკ-გარი („იპსვიჩ-ტაუნი"), რ. ალენი („ვულვერჰემპტონ უონდერერსი") და ბ. რობსონი („ფულჰემი"). მათი განთავისუფლების მიზეზია გუნდების მარცხი ეროვნულ ჩემპიონატში.

ზაფხულიდან მოყოლებული, ეს უკვე 17 შემთხვევაა, როცა მწვრთნელებთან კონტრაქტი ირღვევა. შემთხვევით როდი წერენ მიმომხილველები, რომ „ინგლისში მწვრთნელები ჩემოდნებზე სხედან". ერთადერთი გამონაკლისია მ. ბასბი, რომელიც ომისშემდგომი ხანიდან უდგას სათავეში „მანჩესტერ იუნაიტედს". ამ დროის განმავლობაში ინგლისში ვადაზე ადრე იქნა დარღვეული ხელშეკრულება 688 მწვრთნელთან.

ევროპის ჩემპიონატი მოყვარულთა შორის

როგორც უეფა-ს სამდივნომ გამოაცხადა, დამთავრდა განაცხადების მიღება ევროპის ჩემპიონატის მონაწილეთათვის მოყვარულთა შორის. ამ შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ მხოლოდ იმ ქვეყნების მოყვარულთა გუნდები, სადაც დაკანონებულია პროფესიული ფეხბურთი.

პირველ ასეთ ჩემპიონატში, რომელიც 1965-67 წლებში ჩატარდა, გაიმარჯვეს ავსტრიელებმა (ტურნირი ყოველ 3 წელიწადში ერთხელ ტარდება).

მეხიკოს ოლიმპიადა

სპორტული მეცნიერების თვალსაზრისით

XIX ოლიმპიადამ მოიტანა მთელი რიგი ღირსშესანიშნავი შედეგები, რაც თანამედროვე სპორტის დიდ პროგრესზე მეტყველებს. ახლა სპეციალისტები და მწვრთნელები აანალიზებენ ამასწინანდელი სტარტების გამოცდილებას, არკვევენ გამარჯვებებისა და მარცხის მიზეზებს, ცდილობენ ამოკრიბონ ოლიმპიადიდან ყველაფერი ფასეული, რაც შეიძლება მომავალი სპორტული ბრძოლებისთვის გამოდგეს.

სწორედ ამ თემას მიეძღვნა აას-ის კორესპონდენტის საუბარი ფიზიკური კულტურის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორთან, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორ ა. კორობკოვთან. როგორია საბჭოთა სპორტული მეცნიერების მიღწევები, რა როლი შეასრულა მან ჩვენი ოლიმპიელების მომზადებაში, რა პრობლემები დგას მის წინაშე ამჟამად?

საბჭოთა სპორტული მეცნიერება, — თქვა ა. კორობკოვმა, — სწავლობს ფართო წრეს საკითხებისას, რომელთა უმეტესობას არა მარტო სპორტული, არამედ საზოგადოებრივი მნიშვნელობაც აქვს. მოვიყვან თუნდაც ასეთ მაგალითს: ჩვენს გამოკვლევებში ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს მოძრაობის აქტივობის შესწავლა. ამასთან, დღეისთვის უკვე შეიძლება დადგენილად ჩაითვალოს, რომ მოძრაობის აქტივობასთან დიდად დაკავშირებულია გადაწყვეტა ისეთი მნიშვნელოვანი პრობლემისა, როგორიცაა ადამიანის ფსიქოლოგიურ შესაძლებლობათა შესწავლა სხვადასხვა ასაკში. ან, ვთქვათ, შესწავლა ისეთი პრობლემებისა, როგორიცაა შრომისა და დასვენების რაციონალური გამოყენება, ფიზიკური მდგომარეობის (ან ფორმის) სტაბილურობა, გადამწყვეტი დაძაბულობისთვის მზადება, ფსიქოლოგიური მომზადება და ა. შ.

ძალიან საინტერესოა გამოკვლევები, რაც ამ ბოლო ხანს ტარდება ეგრეთწოდებული გიპოდინამიის სფეროში. ეს ეფექტი შეინიშნება იმ შემთხვევებში, როცა ადამიანის მოძრაობის აქტივობა რამდენიმე ხნის მანძილზე (ამა თუ იმ მიზეზით) შეზღუდულია. სპორტსმენებში ეს შეინიშნება ტრავმებისა და ავადმყოფობის დროს, კოსმონავტებში — კოსმოსური ხომალდის კაბინაში ხანგრძლივად ყოფნის დროს.

ამ მხრივ ზოგიერთ სამუშაოს კოსმოსური მედიცინის წარმომადგენლებთან ერთად ვატარებთ. ჩვენ უკვე შევძელით დაგვედგინა, რომ წინასწარი ფიზიკური მომზადების განსაზღვრული ტიპის მიხედვით აგებული სისტემა მნიშვნელოვნად ანელებს გიპოდინამიის ტემპებს.

● **ამ კვლევას ალბათ უფრო ფართო მნიშვნელობაც აქვს, არა?**

— დიახ, თუ ამ პრობლემას უფრო ზოგადი სახით ჩამოვაყალიბებთ, იგი ასე გამოიხატება: როგორ უფრო ეფექტურია მოძრაობის აქტივობის გამოყენება ადამიანის შრომის უზრუნველყოფისთვის რთულ პირობებსა და სიტუაციებში.

როგორც ხედავთ, სპორტული მეცნიერება მარტო სპორტსმენებისა და ოლიმპიელებისთვის როდი მუშაობს.

● **გვითხარით ორიოდე სიტყვა ოლიმპიელებზე. რა მონაწილეობას ღებულობდნენ მეცნიერები მექსიკის თამაშებისთვის საბჭოთა სპორტსმენების მზადებაში?**

— უშუალო მონაწილეობას წინაოლიმპიური მზადების ყველა ეტაპზე. ვიყვენ მეხიკოში, წინაოლიმპიურ კვირეულზე. იქ დიდი კვლევითი მუშაობა ჩავატარეთ სპორტსმენებზე შუამთიანეთის პირობების გავლენის გამოსარკვევად, აკლიმატიზაციის ოპტიმალური მეთოდების დასადგენად. მუშაობის დროს მჭიდრო კონტაქტს ვამყარებდით ნაკრები გუნდების მწვრთნელებთან. ბოლოს, ჩვენი ბრიგადა (მეც ამ ბრიგადაში ვიყავი), სპორტსმენებთან ერთად იყო ოლიმპიურ თამაშებზე.

● **როცა ოლიმპიური თამაშების მექსიკაში ჩატარება გადაწყდა, სპეციალისტები ამბობდნენ, შუამთიანეთი თავის ცვლილებებს შეიტანს სპორტულ „რანგთა ტაბელშიო". შიშობდნენ, რომ შეიძლებოდა ნიჭიერ ათლეტებს ამ პირობებში წაეგოთ უფრო ნაკლები შესაძლებლობების მქონე სპორტსმენებთან, რომელთა ორგანიზმიც ფიზიოლოგიური თვისებების წყალობით უკეთ გადაიტანდა აკლიმატიზაციას. როგორია თქვენი შეხედულება ამ პრობლემაზე?**

— საბჭოთა მეცნიერების უმეტესობა თავიდანვე იმ აზრს ადგა, რომ ოლიმპიური თამაშების ჩატარება გართულებულ პირობებში ხელს შეუწყობდა ადამიანის ორგანიზმის ახალი შესაძლებლობათა გამოვლენას, სტიმულს მისცემდა მეცნიერების მუშაობას ჟანგბადის ნაკლებობის პირობებში ადამიანის ნორმალური შრომისუნარიანობის შენარჩუნებისთვის.

● **მაგრამ, როგორც ცნობილია, მეხიკოში წარუმატებლად გამოვიდა ბევრი საიმედო საბჭოთა სპორტსმენი, კერძოდ, მძლეოსნები და ტანმოვარჯიშეები, ხომ არ არის ეს დაკავშირებული შუამთიანეთის გავლენასთან და წინაოლიმპიური მზადების პერიოდში სპეციალისტების მიერ დაშვებულ ზოგიერთ შეცდომასთან?**

— ოლიმპიელ სპორტსმენთა მომზადება მხოლოდ ნაწილია იმ დიდი მუშაობისა, რომელსაც ჩვენი ინსტიტუტი ატარებს. უმაღლესი სპორტული ოსტატობის მიღწევასთან დაკავშირებული პრობლემები მუშავდება სპეციალიზებულ-პედაგოგიკის, სამედიცინო, ფიზიოლოგიის, ფსიქოლოგიის, ბიომექანიკის სექტორებში.

რაც შეეხება მექსიკის XIX ოლიმპიურ თამაშებს, ამ ასპარეზობისთვის მზადება ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინ დავიწყეთ. ყოველი მეცნიერული თეორიის სასინჯი ქვა მომავლის სწორად შეფასების უნარია. ჯერ კიდევ 1966 წელს მრავალრიცხოვან გამოკვლევათა საფუძველზე ვამბობდით, რომ მთის პირობები კი არ შეაფერხებენ, ხელს შეუწყობენ სპორტის ჩქაროსნულ-ძალისმიერ სახეობებში დიდი შედეგების მიღწევას. ვთქვით, რომ ჟანგბადის ნაკლებობა თავისებური დოპინგი იქნებოდა. როგორც ცნობილია, მექსიკის ოლიმპიურმა თამაშებმა დაადასტურა ეს თვალსაზრისი.

გამომუშავებული იყო ოლიმპიელ სპორტსმენთა მზადების შესაბამისი რეკომენდაციები. ამ რეკომენდაციებს საფუძვლად დაედო დაბლობში და მთის პირობებში წვრთნის იდეა. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო კანდიდატთა შერჩევის, აკლიმატიზაციის, ფსიქოლოგიური მზადყოფნისა და სპორტსმენთა გამძლეობის უზრუნველყოფის საკითხებს.

ოლიმპიადის დამთავრების შემდეგ ზოგიერთი სპორტული სპეციალისტი ცალკეულ საბჭოთა სპორტსმენთა წარუმატებლობას იმით ხსნიდა, რომ გუნდი მექსიკაში მეტისმეტად ადრე ჩაიყვანეს. ეს სინამდვილეს არ შეეფერება. ოლიმპიელ სპორტსმენებზე ობიექტური დაკვირვების მონაცემები გვიჩვენებენ, რომ მეხიკოში ჩასვლიდან მეშვიდე-მეათე დღეს სსრ კავშირის გუნდის წევრთა 35 პროცენტი თავისი ფუნქციონალური მდგომარეობით ნორმას ჩამორჩებოდა. მათ შორის ბევრი მომავალი ოლიმპიური ჩემპიონი და პრიზიორი იყო. თამაშების დაწყებისთვის სტარტისთვის მოუმზადებელი (სხვადასხვა მიზეზით) მხოლოდ 11-12 პროცენტი დარჩა. მხოლოდ მექსიკაში ადრე ჩასვლამ განაპირობა სპორტსმენთა კარგი აკლიმატიზაცია.

● **ესე იგი, წარუმატებლობის მიზეზები რაღაც სხვაში უნდა ვეძიოთ?**

— მე ამაში აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ. ბოლო წლებში მსოფლიო სპორტში მიღწევათა დონე მნიშვნელოვნად ამაღლდა. ისეთი მასშტაბის შეჯიბრებებისთვის, როგორიცაა ოლიმპიური თამაშები, აუცილებელია არა მხოლოდ ათლეტთა კარგი ფუნქციონალური მდგომარეობა და საჭირო ფსიქოლოგიური განწყობილება, არამედ ოსტატობის შესაბამისი დონე და სპორტული ტალანტი. როგორც სეზონმა გვიჩვენა, სპორტის რიგ სახეობებში საბჭოთა ათლეტებს არ აღმოაჩნდათ საჭირო რეზერვი, რომელიც უკვე დღეს იქნება მზად სტარტზე გამოსასვლელად.

● **როგორც ჩანს, ეს ფაქტი დღეს საბჭოთა სპორტული მეცნიერების წინაშე პირველ პლანზე რეზერვის მომზადების პრობლემას აყენებს?**

— დიახ, ეს ცენტრალური ამოცანაა. ჩვენ უნდა შევქმნათ მიზანდასახული ძიების, შერჩევისა და მაღალი კლასის ნიჭიერ სპორტსმენთა აღზრდის სისტემა. ეს ამოცანა, რასაკვირველია, არა მარტო მეცნიერული, არამედ ორგანიზაციულიცაა. კერძოდ, ამ ამოცანის წარმატებით გადაწყვეტა უშუალოდ დაკავშირებულია საბჭოთა სპორტის მატერიალური ბაზის გაფართოებასთან, ორგანიზატორული მუშაობის გაძლიერებასთან. მე ვფიქრობ, ამას ხელს შეუწყობს საბჭოთა მთავრობის ამასწინანდელი გადაწყვეტილება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან ფიზიკური კულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტის ჩამოყალიბების შესახებ.

● **ყოველივე ზემოთქმულის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ადამიანის ორგანიზმს კოლოსალური შესაძლებლობები აქვს, რაც სულაც არ ამოიწურება სარეკორდო შედეგების მიღწევითაც კი. თქვენი აზრით, როგორია ამ დაფარული რეზერვების გამოყენების გზები?**

— რეზერვები მართლაც არის. ამას მოწმობს თუნდაც გამოცდილება მეხიკოსი, სადაც ჰაერში ჟანგბადის 20 პროცენტით ნაკლებობა ანაზღაურებული იყო სპორტსმენის ორგანიზმის შინაგანი რესურსების ხარჯზე. რაც შეეხება ადამიანის დაფარულ შესაძლებლობათა სრულად გამოყენებას, ამ საკითხში მუშაობა ჯერ მხოლოდ იწყება. მე ვფიქრობ, ეს ამოცანა არა მხოლოდ ფიზიოლოგიურია, არამედ რამდენადმე სოციალურიც. მისი გადაჭრა უშუალოდ დაკავშირებულია ადამიანის შესაძლებლობათა გამოვლენის ხელშემწყობ საშუალებათა და მეთოდების განვითარებასთან. სპორტული თვალსაზრისით უდიდეს როლს შეასრულებს ფსიქოლოგია, კერძოდ, სპორტის სახეობის ოპტიმალური შერჩევა ამა თუ იმ სპორტსმენისთვის. ამ მხრივ ძიება უკვე დაწყებულია. ვფიქრობ, ეს ფასეულ შედეგებს მოგვცემს, დაეხმარება საბჭოთა სპორტსმენებს ახალი სარეკორდო შედეგებისა და საერთაშორისო სარბიელზე ახალ მიღწევათა მოპოვებაში.

სილვია რუჟიცკაია, რომელსაც თქვენ ამ სურათზე ხედავთ, ავსტრიაში ფეხბურთის ერთადერთი მსაჯია. დიდი ყოყმანის შემდეგ ავსტრიის ფეხბურთის ფედერაციამ მას მისცა... მხოლოდ ჭაბუკთა მატჩების მსაჯობის უფლება.

ქალმა მსაჯობა პირველად რამდენიმე წლის წინ შვეიცარიაში სცადა. ვინმე მოლმა თავისი სიმტკიცითა და პროფესიული უნარით სწრაფად მოიპოვა სპეციალისტების და მოთამაშეთა აღიარება. შემდეგში ფეხბურთის მსაჯი ქალები გამოჩნდნენ ინგლისში, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასა და საფრანგეთში.

ფოტო „ფოლკსშტიმე"—ააs-ისა.

სკანდალი. „ღვინო და წყალი"

სწორედ ასე უწოდებს ფრანგულ ფეხბურთში დატრიალებულ სკანდალს ადგილობრივი პრესა. სკანდალის მიზეზი ისაა, რომ საფრანგეთის პროფესიულ ფეხბურთს ფული არ ჰყოფნის. საფრანგეთის პროფესიული კლუბების გაერთიანების მოწინავე საქმოსნებმა თანხების ძიებაში ხელშეკრულება დადეს მინერალური წყლების ცნობილ ფირმასთან „ვიტელთან". ხელშეკრულების პირობები მარტივია: ფირმა ფულს იხდის, ამის სამაგიეროდ კი ქვეყნის ყველა კლუბის ფეხბურთელები მაისურებზე იკეთებენ „ვიტელის" წყლის რეკლამის ფერად-ფერად ეტიკეტებს.

თითქოს ყველაფერი რიგზე იყო, მაგრამ გაჩნდა მოულოდნელი დაბრკოლება. უარი განაცხადეს ბორდოს სახელგანთქმული კლუბის ფეხბურთელებმა. მიზეზი საიდუმლო როდი გახლდათ. ბორდო მეღვინეობის ქალაქია. აქამდე კლუბის ფეხბურთელები მუდამ ღვინოს უწევდნენ რეკლამას და ამისთვის კარგ გასამრჯელოსაც ღებულობდნენ მეღვინეებისგან. წყალი ხელს არ მოგვცემსო, ამბობენ კლუბ „ბორდოს" მესვეურები და ამბოხებით იმუქრებიან. კლუბების გაერთიანების წარმომადგენლები კი აცხადებენ: „თუ საქმე იქამდე მივიდა, რომ ფულის საშოვნელად რაღაცას რეკლამა უნდა გავუწიოთ, სჯობს რეკლამის საგანი ისევ უალკოჰოლო სასმელები იყოს და არა ჯანმრთელობის დამღუპველი ალკოჰოლი".

სკანდალში ჩაერია ტელევიზია. ცისფერი ეკრანის მესვეურები აცხადებენ: თუ ჩვენს ინტერესებს ანგარიშს არ გაუწევთ, საფეხბურთო მატჩებს აღარ გადავცემთო. „ბოლოსდაბოლოს რომელს დარჩება გამარჯვება, წყალს თუ ღვინოს?" — კითხულობს ფრანგული გაზეთი „ეკიპი".

რედაქტორის მოადგილე
ზ. ჯაფარიძე.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. ლენინის ქ. № 14. 8 უე 03905